წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ. კვირა, 5 თებერვალი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 28 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 28



გ ა ზ ე თ ი
„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., $^{1}/_{2}$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ." ღირება 13 მ.—75 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".



ანნა აქვსენტის ასული და ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, თებერვლის 5,

## პავლე იოსების ძის
## კურცხალიას

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი თბილისის კარისად ყოფილის წმ. გიორგის ეკლესიაში (არქიელის მოედანზე) და სოფ. ბაზში.
წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.
(2—511—2)



ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მინა გიტოს ასული, ძმები ერასტი და ისაკი დავითის ძენი გორდელაძეები, მასიკო გიორგის ძე სალუქვაძე, რძლები ანნა ასალოს ასული, ოლღა გიორგის ასული და კირიაკა მიხეილის ასული შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## ლავრენტი დავითის ძის
## გორდელაძის

უდროვოდ გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 თებერვალს, ს. ლიხაურში (ოზურგ. მ.)
(1—1)



# ახალი კლუბი
## ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათს
### სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი

სამშაბათს
### ოპერეტა
„მშვენიერი ელენე".

ოთხშაბათს
### მეოთხე სამუსიკო საღამო
პროფესსორ რიადნოვისა.

ხუთშაბათს
### ქართული წარმოდგენა.

პარასკევს
### ოპერეტა
„კორნევილის ზარები".

შაბათს
### საღამო
დამსახურებულ მსახიობის ვ. აბაშიძისა

კვირას
### საღამო
ქართულ საქველმოქ. საზოგადოებისა.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამოს 9 საათზე.
წარმოდგენებისა და სინემატოგრაფისა „ $8^{1}/_{2}$ საათზე.
სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.



გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

# ნ. ბარათაშვილის ლექსები
## და წერილები
## სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა".
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".
დ. უზნაძის—„პოეტის სული".

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
(10—555—1)



# დამფუძნებელნი
## კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა, რომელსაც მინისტრის განკარგულების თანახმად ეწოდება
# „ამიერ-კავკასიის ბანკი"

ამით აუწყებენ აქციების პატრონთ, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდების §§ 63 და 64 ძალით, პირველი

## საზოგადო კრება

ბანკის აქციონერთა დანიშნულია 5 მარტს 1917 წ. თბილისში, დილის 11 საათზედ, ბანკის ბინაზედ, ლორის მელიქოვის ქუჩა, № 5 (თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის ახალ შენობაში).

## განსახილველია:

1. საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში,
2. საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება,
3. საბჭოს წევრთა არჩევანი,
4. 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება,
5. ბანკის საჭიროებისათვის უძრავ მამულების შეძენის შესახებ მოხსენება,
6. გამგეობის სამის წევრის არჩევა,
7. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

## ბ.ბ. აქციონერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ:

ყველას, ვისაც-კი შეუძენია ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას; ხმის უფლება-კი მხოლოდ იმ აქციონერსა აქვს, რომელსაც ათს აქციაზედ ნაკლები არ ეკუთვნის. ყოველ ათს აქციაზედ პატრონს ერთის ხმის უფლება აქვს, მაგრამ ამასთანავე, რაც უნდა ბევრი ჰქონდეს აქცია, მაინც აქციონერთა საზოგადო კრებაზედ იმაზედ მეტს ხმას ვერ მიიკუთვნებს, რაც გადააჭარბებდა კრებაზედ დამსწრე წევრთა ხმების ერთს მეათედს (§ 56).

მთავრობისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი ხმის უფლებას თავიანთ კანონიერ წარმომადგენელთ აძლევენ (§ 57).

იმ აქციონერებს, რომლებსაც ათს აქციაზედ ნაკლები აქვთ, შეუძლიანთ შეაერთონ თავიანთი აქციები, ზოგადის ვექილობის ძალით, რათა მიიღონ უფლება ერთის ანუ მეტის ხმისა—იმ საზღვრამდე, რომელიც მოხსენებულია § 56-ში (§ 57).

რომელ აქციონერსაც ხმა აქვს, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლიან კრებას დაესწროს, ნება აქვს თვისი უფლება ისეთს სხვა აქციონერს გადასცეს, რომელსაც აქვს ხმა, მაგრამ ეროსა და იმავე აქციონერს საზოგადოთ არ შეუძლიან ვექილობა ორზე იქონიოს.

შენიშვნა: ვექილობა ხმის გადაცემისათვის უნდა შესდგეს წერილის სახით და გადაეცეს ამიერ კავკასიის ბანკის დამფუძნებელთ სამის დღით ადრე საზოგადო კრებამდე (ხელის მოწერა ვექილობაზედ უნდა შემოწმებულ იქმნას მთავრობის ან საზოგადო დაწესებულებათა ან პირთა მიერ).

საზოგადო კრებაზედ შესასვლელ ბილეთების მიღება შეიძლება ბანკის კანცელარიაში 4 მარტს დილის 10 საათიდან დაწყებული.



საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზი (გრიბოედოვის ქ. № 8)
სამშაბათს, 7 თებერვალს. ორი მოხსენება,

I
## გერონტი ქიქოძე:
„ნიკოლოზ ბარათაშვილი"

II
## ი. გრიშაშვილი:
„საიათნოვა, როგორც მეფე ერეკლეს კარის მგოსანი"

დასაწყისი საღამოს სწორედ 8 საათსა და 15 წუთზე. ადგილების ფასი 2 მ. 50 კ.-დან 50 კ-მდე. ბილეთები აწთავითვე იყიდება საჩაიე „ძმურ-ნუგეშში"
(7—554—5)



შაბათს, 11 თებერვალს 1917 წ.
## ზუბალაშვილის სახალხო სახლში
მოხეტიალე მუსიკოსი
# ილიკო ჭურჭული
გამართავს
## ლ ე ქ ც ი ა - დ ი ლ ა ს.

პირველ და მეორე განყოფილებაში წაიკითხავს თავის „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან", რომელიც სხვა და სხვა დროს დაბეჭდილი იყო „რუსკია ვედომოსტი"-ებში და სხვა გამოცემებში, შემდეგის შინაარსით:
რამ მაიძულა სკრიპკით ეზო-ეზო მევლო. ჩემი პირველი ნაბიჯი. გაცნობა და პირველი გაკვეთილები ქუჩის მეარღნე ახმედასაგან მუსიკის მოქმედება მოსკოველ მილიონერებზედ. „დევნა" მუსიკის გამო. მხატვრულ მუსიკის გავლენა ხალხზედ. განსაკუთრებული თვისებანი ჩემის აუდიტორიისა. მსმენელთა წერილები. სამეცნიერო კითხვები.
მესამე განყოფილებაში სკრიპკაზედ შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლიო მუსიკოსთა ნაწარმოებს თავის „საეზოო" რეპერტუარიდან.
ფისგარმონიაზედ აჰყვება ბ. ზ. ფალიაშვილი.
ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 5 კ.-მდე ✦ დასაწყისი დილის 12 საათზე.
ბილეთები ამთავითვე იყიდება სიმონას კიოსკში, კელლერის მუსიკალურ სავაჭროში—გოლოვანისკზედ, ქართულ საჩაიე „ძმურ-ნუგეშში" და თეატრის კასაში.



# დილის წარმოდგენა
## (ახალ კლუბის შენობაში)
კვირას, 5 თებერვალს, 1917 წ.
ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
## სამშობლო
დრ. 5 მოქმედებად დ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ბ-ნნი ბარველი, იმხნელი, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.
ადგილების ფასი 2 მ.—50 კ.-დე. ✦ ✦ დასაწყისი დილის 12 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.
(3—556—3)



# ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
კვირას, 5 თებერვალს,
## ელისაბედ ჩერქეზიშვილის
სასცენო მოღვაწეობის 30 წ. თავის აღსანიშნავათ, გამართული იქნება საიუბილეო წარმოდგენა

I
## ხ ა ნ უ მ ა
ა. ცაგარლისა.

II
## დ ე დ ი ს ე რ თ ა
1 მოქ. ვ. გუნიასი.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
(1— —1)



## ვიპოვე ფული
ცისფერ ყანწების საღამოზე, სამუსიკო სკოლის დარბაზში თებერვლის 2-ს. ფულთან ერთად ნაპოვნია საფულე, რომელშიაც სჰვა და სხვა ნივთები იდო. დამკარგველმა მოიკითხოს „საქართველოს" რედაქციაში.



## პარიზელი ქალი
ეძებს ფრანგულისა და ინგლისურ ენის გაკვეთილებს; ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. ფასი ხელმისაწვდომია.
მისამართი: მიხეილის პროსპექტი, 84. ბინა როსიონისა. (6—1)



ე ქ ი მ ი
## მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.



ე ქ ი მ ი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ერლიხის „914" და „606" შეშხაპუნება



გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა



ე ქ ი მ ი
## ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.



დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.



ე ქ ი მ ი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ —202—)


# ძალა ფულისა

თუმცა რომაელებს უთქვამთ—ფული ცხოვრების ძარღვიაო, მაგრამ მამონის კერპის ძალა და მნიშვნელობა შორეულ წარსულისთვის სავსებით გამოაშკარავებული არ ყოფილა. მხოლოდ ეხლანდელი დრო გახდა ფულის განუსაზღვრელი ძლიერების მოწამე. ძველად ფულით შეიძლებოდა საუცხოვო ციხე-კოშკების აგება, მისი თვალ-მარგალიტით მორთვა-მოკაზმვა, ქეიფი და ლხინი, უდარდელი ცხოვრება. ამისთვის დიდი თანხები არ იყო საჭირო და იმ დროის ხაზინადრები ძვირად თუ ასცილდებოდნენ რამოდენიმე ათეული ათასი ოქროს სათვალავს. უდიდესი სამუშაოები, დიდი შენობები, არხები, ქუჩები ძალდატანებითი მუშაობით კეთდებოდა. ეხლა სულ სხვაა. რომელიმე ვანდერბილდს შეუძლიან თავის ხარჯზე ააგოს ქალაქი, რომელშიაც ყველა ძველი რომაელები მოთავსდებოდნენ. მას შეუძლიან დააშროს წყლები და ხმელეთად აქციოს ზღვის სივრცეები. აბა, რომელი ეგვიპტელი იფიქრებდა უძველეს დროში, რომ ხეოპსის პირამიდების მსგავს ძეგლებს, რომელთაც ეგვიპტეს ფარაონები ორმოცი წლობით აგებდნენ ასეულ ათას მონის შრომით, ოდესმე ვინმე მორგანი სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ააშენებდა, თუ კი მოისურვებდა.

ძველს დროში ცხოვრებისთვის ბევრი რამ საჭირო საგანს ფულით არ იძენდნენ. ოჯახში მოჰყავდათ საჭირო ხორბალი, ჰყავდათ საქონელი და სახლშივე ქსოვდენ ტანსაცმელებს. ფულით უცხო თვალ-მარგალიტსა და იშვიათ რამ ნივთებს თუ შეიძენდნენ. ასეთს დროს ფული ადამიანისთვის მიუცილებელ საჭიროებას სრულებით არ წარმოადგენდა. ბევრი ცხოვრების დღეთ ისე განვლიდა, რომ ამ საგნის ხელში აღება არც კი მოუხდებოდა.

სხვაა ეხლა. დღევანდელს ფულის ხანაში ყოველივე ფულით ფასდება და განიზომება. გლეხს თავისი ნაწარმოები ბაზარში გააქვს, რომ ფულად აქ-

ცის და ამის შემდგომ სხვა რამ, თავისთვის საჭირო, ნივთები შეიძინოს. ყველა თავის ნაწარმოებს, ძალას და შრომას, თვით ნიჭისა და შემოქმედების ნაყოფსაც კი ფულზე სცვლის და ახურდავებს. ამიტომ არის, რომ თანამედროვე ეპოქას ფულის ხანას უწოდებენ. ფული ჭეშმარიტად რომ ძარღვია ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების. მის შემწეობით რომელიმე ამერიკელ მორგანს შეუძლიან რამოდენიმე თვის განმავლობაში გააკეთოს ის, რასაც დავით აღმაშენებელმა და მთლად ჩვენმა ერმა მრავალი წელი მოანდომა. მას ძალუძს აგვიგოს ჩვენს მიყრუებულ მინდვრებში უდიდესი ქალაქები, ზღვაზე ნავთსადგურები და ხომალდები, დასეროს ჩვენი ქვეყანა რკინის გზებით და მით გარეგანი სახე და თვით შინაარსიც გამოუცვალოს ჩვენს მეურნეობას, აღებ-მიცემობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ფული გაბატონებულია თანამედროვე ცხოვრების ყოველს სფეროში. მამონის ძალას და გავლენას ემორჩილება ყველა ღმერთები. უმისოდ ფრთას ვერ გაშლის ხელოვნება, მეცნიერება და უმისოდ უძლურია სახელმწიფო და თვითმპყრობელი მეფენიც კი.

ფულს თავისი საკუთარი სამყარო აქვს. ის წარმოადგენს ერთგვარ სახელმწიფოს სახელმწიფოში. შიგნიდან ის განაგებს მთელი ქვეყნით და ბევრს კი ჰგონია, რომ ამას სჩადიან მეფენი და მმართველნი ქვეყნისანი.

ეს მმართველნი ფულის მეფეების მხოლოდ ლანდებია, მათი მორჩილი და ერთგული მონა. ისინი მოისურვებენ და ომი დაიწყება, მოისურვებენ და ზავს შეჰკრავენ. ამერიკელი მილიარდერი მორგანი რომ გარდაიცვალა, გამოირკვა, რომ უდიდესი დამზღვევი საზოგადოებები ამით დიდათ დაზარალდა. თურმე სხვა და სხვა ქვეყნებში ბევრს ჰქონია დაზღვეული მორგანის სიცოცხლე. მორგანი ამერიკის უდიდეს სამრეწველო საქმეების მეთაური იყო და არა ერთი და ორი მოქალაქის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო მის სიცოცხლეზე.

სახელმწიფოთა ჩვეულებრივი მეთაურების სიცოცხლეს უკვე აღარ აქვთ ასეთი მნიშვნელობა მათი ქვეშევრდომებისთვის, ერთი გარდაიცვლება, მეორე დაიჭერს მის ადგილს და მით ცხოვრების მიმდინარეობა არ შეიცვლება.

ე. მალი.

## მცველნი თუ გარეწარნი?

შემზარავი წერილი მოვიდა სოფ. ბაკურციხიდან (იხ. „საქართველო, № 24), თუ „სიღნაღის მაზრის სამმართველოს ურიადნიკი 12—15 სტრაჟნიკით და ტყის დარაჯის თანხლებით“ როგორ სწვევია სოფელს და თარეშობა დაუწყვიათ. საყურადღებოა, რომ ამ ოფიციალ საპოლიციო მცველთ ყაჩალთა შესაფერისი საქციელი ჩაუდენიათ. შუაღამისას დასხმიან სოფელს, ბევრი გაუბაწრავთ, ვითომც როგორც გამოქცეული ჯარისკაცები, უფრო კი იმიტომ, რომ ქრთამები აეღოთ. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ამ მოთარეშეებს გლეხ სთვის განთავისუფლების ბილეთები გადაუხევიათ, თუ ამ უკანასკნელთ არ მიუციათ ქრთამი, შესაფერისი ჯილდო. არა ნაკლებ საყურადღებოა ის ამბავიც, რომ ამ მშვიდობიანობისა და წესიერების დამ ყარებელთ, კორესპონდენტის სიტყვით, არ გაარჩენიათ „აღარც მღვდელი, არც თავადი და არც თუ გლეხი“. მიჰქ ნდათ შეშა,.. თვით სკოლაც კი არ დაუნდვიათ, „რის გამოისად საკლასო ოთახები ვერ გაათბეს და სწავლა შესწყდა“.

რბევის ასპარეზად, კორესპონდენტის სიტყვით, მარტო ერთი სოფ. ბაკურციხე არ ყოფილა. წინა დღით სწორედ ასევე დაურბევიათ სოფ. ჩალაუბანი. არბევენ სხვებსაც. ღამღამობით, ქურდულად, უკეთ, ყაჩაღურად. „25 იანვარს დასრულეს ჩვენი სოფლის დარბევა და თანაც დაგვპირდნენ, ორი დღის შემდეგ კიდევ გეწვევითო“. ასე იუწყება კორესპონდენტი. სოფელს დელეგატები აურჩევია, სიღნაღში და აქ, თბილისში, გამოსაგზავნად, გუბერნატორთან საჩივლელად. „ნეტავ ჩამოგვისწრონ ჩვენმა არჩეულმა კაცებმა, თორემ თქვენი მტერი, ამ შარსა და თავგასულობას ისედაც გაჭირვებული და წყალ-წაღებულია ჩვენი სოფლის ხალხი“,—ასე ათავსებს თავის წერილს ბაკურციხელი კორესპონდენტი.

ჩვენ არ ვიცით, რა გააკეთეს მათმა დელეგატებმა, ან გუბერნატორმა რა განკარგულება მოახდინა ასეთს არა ადამიანურ მოპყრობის ასალაგმავად, ისიც წესიერების ფრთხილ დარაჯთა მხრით. არც კორესპონდენტს შეუტყობინებია შედეგი სოფლის ჩივილისა, მაგრამ საქმე ხომ ეს არაა, არამედ ის, თუ როდემდის უნდა იყოს განწირული ჩვენი სოფელი? დიდიხანია, ღვთისგან და კაცისგან განწირული თავის ბედის ანაბარად დარჩენილა. სოფელს შველა ეჭირვება, სოფელს დახმარება და ხელის გაწოდება უნდა, მაგრამ შველის ნაცვლად თავზე მათ უის ვაყრით და სისხლის ცრემლებს ვაყრევინებთ. გვეხსომება, ცხინვალელი კორესპონდენტი როგორ გვიჩიოდა, საქონლის ჭირს ასე და ასე უპატრონეს ჩვენმა ბეითლებმაო! ასეთივე ამბები მოდის დასავლეთ საქართველოდან, სადაც ათასობით იჟლიტება თურმე სხვილფეხი საქონელი. და ეს იმ დროს, როდესაც მრჩენელნი ბრძოლის ველისკენ მიიწევენ და უანგაროდ ჰღვრიან სისხლსა! მაგრამ თურმე ეს საკმარისი არ ყოფილა! თურმე არ ჰკმარა ისიც, რომ გაწყალებულს და უკაცო სოფელს ათასი ყაჩაღი და მუქთა ხორა არბევს და აწიოკებს, არც ისა ჰკმარა, თუ ჩარჩები სულს ამოჰხდიდნენ სოფელს და უკანასკნელს ლუკმას გამოსტაცებდნენ ხელიდანა! არა! საჭირო ყოფილა მეტი ტანჯვა, უკედ, ტანჯვის სახელოვნად დაგვირგვინება. და ეს გვირგვინი მირთმეულ იქმნა თვით პოლიციის მოხელეებისგან! რბევა უპატრონო სოფლისა, ისიც ყაჩაღურად, ისიც ღამით? და მერე ვის მხრით? პოლიციელთაგან? ამას მოელოდა სოფელი? ამის ნუგეში ჰქონდა? მაშ რითიღა იცოცხლოს სოფელმა? ვის მიჰმართოს? სადა აქვს გასაქანი? ვინ შეისმინოს მისი ცრემლები, მისი კვნესა? თავი დაიხრჩოს? ესღაა ჩვენი გაწვდილი ხელის ნაყოფი! ამით-ღა ვანუგეშეთ ისედაც დამწუხრებული სოფელი!

ჩვენი წუხილი და შავი ფიქრნი მით უფრო ორკეცდება, რომ ვიცით, არსებობს სხვა სოფლებიც, ჩვენი პროვინციის ყრუ კუთხეები, საიდანაც ჩვენამდინ ვეღარ აღწევს მგოდებელ ხალხის გულღრმა კვნესა. თუ ბაკურციხე ასე ახლოსაა ჩვენთან, თუ იგი უფრო უზრუნველყოფილია მოჭირისუფლე ხელით მაინც, რომ სიღნაღსა და თბილისში თავისი არჩეული კაცები აფრინოს გასაჭირის გარდასაცემად, რა ჰქნან იმ სოფლებმა, სადაც ხალხის ბედი და უბედობა ვიწრო ფარგალში ტრიალებს და ჩვენამდინ ვერ მოაღწევს მათი განწირულების ხმა, თუნდაც ხმა იგი აშლილ სისხლის საყვირით თვით ცასაც კი ძირს ჩამოიღებდეს! ამიტომ გვეძულება ხელახლად ეთხოვოს გუბერნატორს, სასტიკი გამოძიება იქმნეს დანიშნული დამნაშავეთა დასასჯელად, რათა ამათი მაგალითით ეშველოთ ჩვენს პროვინციებსაც. აეხადოს ფარდა მათს მოქმედებას და აშკარად აჩვენოს ხალხს, თუ ვინ არიან ეს ჰარამზადანი, წესიერებისა და მშვიდობიანობის მცველნი თუ გარეწარნი? გარეწართ კი საპოლიციო განყოფილებაში ადგილი არ უნდა ჰქონდესთ...

ქართლელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ამ სამი დღის წინად ცნობა იყო, რომ ავსტრიელებმა და გერმანელებმა სოფ. კაბაროვცეს რაიონში დიდ ძალებს თავი მოუყარეს და იერიშები დაიწყეს. გუშინდელს დეპეშაში მეტად მოკლედ არის მოხსენებული შედეგი კაბაროვცის ფარგალში წარმოებული ბრძოლისა, რომელიც, დემონსტრაცია იქნებოდა იგი, თუ ნამდვილი დაწყება დიდი გენერალური ოპერაციისა, პირველ ხანში მაინც განსაკუთრებით ცხარე უნდა ყოფილიყო. დეპეშაში ნათქვამია, რუსის ჯარმა უკუაგდო მოწინააღმდეგეთა იერიში კაბაროვცეს სამხრეთითო. რუსეთ-გერმანეთის ასპარეზზე სხვაგან არსად არის აღნიშნული, რომ რაიმე სამხედრო მოქმედებას ადგილი ჰქონოდეს. კარპატებში ქარბუქი დგას და მოპირდაპირეთა ჯარების მოძრაობა შეწყვეტილია. რუმინეთის ასპარეზზე მცირეოდენი სროლაა და სხვა არაფერი. კავკასიის ასპარეზზე ეს ამდენი ხანია არავითარი სამხედრო მოქმედება არ სწარმოებს. გუშინდელ დეპეშებს არც გერმანეთის წყალქვეშა ნავების მოქმედების თაობაზე გადმოუცია რამე ცნობა.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიდან.**

**პეტროგრადი.** 3 თებერ. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. მტრის იერიშები ჩვენს პოზიციებზე, ს. კაბაროვცის სამხრეთით უკუვაქციეთ. კარპატებში კვლავინდებურად ქარბუქი მძვინვარებს.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლა გრძელდება.

**კავკასიის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

**ლიონი** 2 თებერ. ცეცხლმა და აფეთქებამ თოფის წამლის ქარხანა გაანადგურა ნევილში; ოთხი კაცი მოკლულია, სამი უკვალოდ დაიკარგა. 50 კაცი დაჭრილია, მათ შორის 40 კაცი მსუბუქად.

**ლონდონი.** 3 თებერ. საღამოს ოფიციალი ცნობა ბრიტანეთის მთავარი შტაბისა საფრანგეთში. ბუშავენის სამხრეთით გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს უშედეგოდ. სომმის ფრონტზე ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერზე რამდენიმე იერიში მივიტანეთ და ტყვეები ვიგდეთ ხელთ. წარსულ ღამეს ლოოსის ჩრდილოეთით და მესინის დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ მოულოდნელი ცეცხლით გერმანული რაზმები გაჰფანტა. იპრის რაიონში გერმანელების სანგრებში ახალი აფეთქება მოვახდინეთ.

1 თებერვალს, ღამით, ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის სამხედრო პუნქტებზე ჯარის უკან: ერთი გერმანული ჰაეროპლანი გავანადგურეთ, ორი დავაზიანეთ; ერთი ინგლისური ჰაეროპლანი ძირს ჩამოვარდა, ორი უკვალოდ დაიკარგა.

**პარიზი.** 2 თებერ. შეერთებული შტატების ყოფილი ბერლინელი ელჩი ჯერარდი მეუღლითა და საელჩოს წევრებითურთ პარიზში მოვიდა.

**ლონდონი.** 2 თებერ. უკანასკნელ დღე და ღამეში დაიღუპა 1 ინგლისური და 1 ამერიკული ორთქლმავალი და 2 ტრალერი.

**ბაზელი.** 1 თებერ. ლოზანაში შეიკრიბნენ პოლონეთის სამივე ნაწილის წარმომადგენლები და სხვათა შორის პრეზიდენტ ვილსონს დეპეშა გაუგზავნეს, სადაც აღნიშნულია, რომ მტკიცე მშვიდობიანობა ევროპაში შეუძლებელია თუ გაერთიანებული პოლონეთი არ აღსდგა.

**პარიზი.** 2 თებერ. ქვა ნახშირის ეკონომიის მისაღწევად მთავრობის განკარგულებით, დღეს გაზეთები დაპატარავებული ფორმატით გამოვიდა: სახელდობ, ორი გვერდი.

**პარიზი.** 3 თებერ. საღამოს ოფიციალი ცნობა. შამპანში ორ ადგილას, სენტმარისა და მენილის გორაკის მიდამოებში გერმანელ სანგრებში მოულოდნელი თავდასხმა მოვახდინეთ და ერთი აფიცერი და 25 ჯარისკაცი დავატყვევეთ. მტრის არტილერიამ მკაცრი იერიშები მოიტანა ჩვენს პოზიციებზე მეზონ დე შამპანის გარშემო. მაასის მარჯვენა ნაპირას საკმაოდ ძლიერი საარტილერიო შეტაკება სწარმოებს გონდრემონისა და ვოს მიდამოებში, ლოტარინგიაში ჩვენმა არტილერიამ გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა ლენვილისა, კოინკურსა და ბეზანჟენთან.

**ჰავრი.** 2 თებერ. ბელგიის ოფიციალი ცნობა. ორ პუნქტში დიქსმიუდეს სამხრეთით გერმანული რაზმები ღამით შეეცადნენ თავს დასხმოდნენ ბელგიელების პოსტებს. მტერი გავფანტეთ თოფის და ზარბაზნების ცეცხლით. დღისით მთელს ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

**ლონდონი,** 2 თებერვ. საადმირალო იუწყება: პირველ თებერვალს ჩვენი საზღვ ო ჰაეროპლანები თავს დაესხნენ ბრიუგეს. მფრინავები უვნებლად უკან დაბრუნდნენ ერთის გარდა. 30 იანვარს დაზვერის დროს ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ერთი ჩვენი აეროპლანი მტრის აეროპლანმა ძირს ჩამოაგდო; მფრინავი და მეთვალყურე დატყვევებულია. მტრის მეორე აეროპლანი „ჟოკერის“ ტიპისა ჩვენმა აეროპლანმა გაანადგურა 50 მეტრის სიშორეზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მონარქისტების ყრილობა.**

მონარქისტულ ორგანიზაციათა დროებითმა თავმჯდომარემ, ნ. ა. მაკლაკოვმა, ნებართვა მიიღო, რომ თებერვლის დამლევს სრულიად რუსეთის მონარქისტთა ყრილობა მოიწვიოს. „გოლოს რუსის“ გადმოცემით ამ ყრილობამ ზავი უნდა ჩამოაგდოს ცნობილ ექიმ დუბროვინსა და მონარქისტებს შორის. თუ ეს მოხერხდა, გადაწყვეტილი აქვთ დუბროვინი აირჩიონ მონარქისტულ ორგანიზაციათა მუდმივ საბჭოს წევრად. ყრილობის პროგრამის უმთავრეს მუხლს წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ რა ღონისძიება უნდა მიიღოს მონარქისტულმა რუსეთმა, რომ გერმანელებისა და ებრაელების ძალმომრეობა სრულიად განდევნოს, როგორც მეცნიერებიდან, ისე რუსეთის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ და განსაკუთრებით საბანკო ასპარეზიდან.

**„პოლონეთის ავტონომია“**

პოლონური ბურჟუაზიულ სიტყვა უარყოფით მოეკიდა იმ იდეას, რომ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებებმა, სახელმწ. სათათბირომ და სახელმწ. საბჭომ, შეიმუშაონ პოლონეთის მომავალი წყობილების საფუძვლები. ყველაზედ გარკვევით ამის წინააღმდეგ პოლონურმა გაზეთმა „Dziennik Polski“-მ გაილაშქრა. გაზეთი არ იწყნარებს რუსეთის მთავრობის 2 ნოემბრის განცხადებას, რომ პოლონეთის პოლიტიკური მომავალი მხოლოდ „ავტონომიურ ფორმაში“ გამოითქვას და რომ პოლონეთი მომავალშიც განუყოფელ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში დარჩეს. გაზეთი სწერს: თუ პოლონეთი უნდა აღსდგეს დღეს სამად გათიშული ნაწილებისაგან, მაშინ პოლონეთის საკითხი საერთაშორისო საკითხად გადაიქცევა და პოლონეთის მომავლის ბედიც სულერთიანად დამოკიდებული იქნება ომის დამთავრების ხასიათსა და ზავის პირობებზე. არსებითად-კი, პოლონეთის საკითხი იმ ფაქტორებზე ჰკიდია, რომელნიც ყოველგან და ყოველთვის სწყვეტენ ომისა და ზავის საკითხებს, ე. ი. უზენაეს ხელმწიფებაზე, დიპლომატიასა და სახელმწიფოს რწმუნებულ პირებზე. რუსეთი წმიდა კონსტიტუციური სახელმწიფოც რომ იყოს, მაშინაც საკანონმდებლო პალატის ხელი უბრალო დეზიდერატებით შემოიფარგლებოდა, ან სადემონსტრაციო რეზოლიუციებით, ან და კიდევ უნდობლობის გამოცხადებით იმ მთავრობისა მიმართ, რომელიც ხალხის სურვილის საწინააღმდეგო ხელშეკრულობას დასდებდა სხვა სახელმწიფოებთან პოლონეთის საკითხის თაობაზე. ხოლო, სახელმწიფო სათათბიროს ხომ უფრო გაცილებით ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე წმიდა კონსტიტუციონურ ქვეყნების პალატასო. გაზეთი გაოცებით აღნიშნავს, პოლონეთის საკითხი რუსეთს კიდევ საშინაო საკითხად მიაჩნია, მაშინ როდესაც იგი უაღრესად საერთაშორისო საკითხი არისო.

**ფლამანდელების ავტონომია.**

თანამედროვე ბელგეთი ორი ხალხისაგან შესდგება: სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ფრანგულს ენაზე მოლაპარაკე კალონიებითაა დასახლებული, ჩრდილო-დასავლეთი კი გერმანელების მონათესავე ფლამანდიელებით. ამ ორს ერს შორის ომის დაწყებამდეც ცოტაოდენი ქიშპი და წინააღმდეგობა არსებობდა. გერმანელები ახლა სცდილობენ ამ წინააღმდეგობის გაღრმავებას და თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას. რავდენიმე თვის წინათ ფლამანდიელებს საკუთარი უნივერსიტეტი დაუარსეს გენტში. ეხლა, როგორც პანგერმანისტული გაზეთი „პოსტი“ იუწყება, გერმანეთის მთავრობას განუზრახავს პოლიტიკური ავტონომია მიანიჭოს ფლამანდიელ პროვინციებს. გერმანელების შთაგონებით

## ქართული საქალო საოსტატო სემინარია

(წ.-კ. საზოგადოების დღევანდელ კრების საყურადღებოდ)

წარსულ შემოდგომაზედ შეუმჩნევლად ჩაიარა საძირკველი ერთს ჩვენს მეტად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს. მე მოგახსენებთ ქალთა ქართულ საოსტატო სემინარიაზედ, რომლის დაარსება თბილისში „განათლების“ საზოგადოებამ ითავა. 26 ენკენისთვე, დღე ამ სასწავლებლის გახსნისა, მომავალ ისტორიკოსის მიერ აღნიშნულ იქმნება იმ დღედ, როდესაც სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში პირველად სწორ და მიზანშესაფერ მიმართულებას იღებს. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ დიდმნიშვნელოვან დაწესებულების დაარსებას დღევანდელ პირობებში მყოფი ჩვენი საზოგადოება, მთელი საუკუნის განმავლობაში ეროვნულ აღზრდას მოწყურებული, განსაკუთრებულის თანაგრძნობით შეხვდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა ამ დღესასწაულმა. მრავალ მოწვეულთა შორის, მხოლოდ ათიოდე პირმა სცა პატივი და დაესწრო სკოლის კურთხევას; ფართე საზოგადოებამ კი, ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარემ, არაფრით არ აღნიშნა: არც მილოცვა, თუმცა სხვა შემთხვევებში გადაჭარბებაც კი ვიცით, არც გამხნევება, არც შეკითხვა, თუ რატომ უსათუოდ საოსტატო სემინარია დავაარსეთ და არა სხვა რამ ტიპის სასწავლებელი. მეტად დამაფიქრებელია ასეთი მოვლენა. ცხადია, ჩვენი ეროვნული თვითშეგნება უფრო ზედაპირული ყოფილა, გარეგანი მხარე სჭარბობს, ეროვნულ თვითშემეცნებას აკლია საჭირო სიღრმავე. როდესაც რომელიმე სოფლის მასწავლებელი თვისის შეუგნებლობით ან სიმხდალით ან მთავრობის მოხელის ძალდატანებით იწყებს რუსული ენის სწავლებას ბავშვის მიღებისათანავე, ენკენისთვიდან, და არა ოთხის თვის შემდეგ, იანვრიდან, როგორც ეს კანონით (81 წლის) არის ნება-დართული, ერთს ალიაქოთს ავტეხთ, ქვეყანას შევძრავთ, მზად ვართ შევაჩვენოთ ის პირი და დეპუტაციები ვგზავნოთ უმაღლეს მთავრობასთან: მოიღეთ წყალობა, ოთხის თვით გვიან დაიწყეთ გადაგვარება ჩვენის ბავშვებისაო. რო გაწყრეს ღმერთი და არსად ჩვენში არ დაარღვიონ 81 წლის კანონი, ე. ი. უცხო ენის სწავლება იწყოს ბავშვმა არა სასწავლებელში ფეხის შედგმისათანავე, არამედ 3—4 თვის შემდეგ, იანვრიდან, ქართველი საზოგადოება, უნდა ვიგულისხმოთ, სრული კმაყოფილი იქნება თავის ბედისა. აი რა ზომისა ყოფილა ჩვენი მოთხოვნილება ბავშვის ეროვნულ ნიადაგზედ აღზდისა! ძალა უნებურად, უნდა ვსთქვათ: მადლობა ღმერთს, რომ ეს ახე არ არის. ჩემის აზრით, დიდის მადლობის ღირსნი არიან დაუფასებელ სამსახურისათვის ის რუსის მოხელენი, რომელნიც 81 წლის კანონის დარღვევით აღვიძებენ ჩვენ საზოგადოებას... ეს კიდევ არაფერი.

უფრო დამახასიათებელი მაგალითები ჩვენის ეროვნული შემეცნების სიმჩატისა ყველა ჩვენგანს შეუძლია მოიყვანოს ჩვენი ცხოვრების ახლო წარსულიდან. მოიგონეთ ორი ფერეიდანელი მაჰმადიანი ქართველი, რომელნიც მოულოდნელად გაჩნდნენ ძველ სამშობლოში შორეულ სპარსეთიდან. საქართველომ დღესასწაული გამართა. ალტაცებას და გატაცებას საზღვარი არ ჰქონდა; რას ვოცნებობდით, რა იმედები აღგვეძრა და რითი გათავდა! გაიხსენეთ მრავალი იუბილეები, საპატიო ნადიმები, როდესაც თითქმის მთელი მხარე ფეხზედ დგებოდა და სხ. და სხ. ისეთი სასწავლებლის დაარსება კი, რომელმაც ჩვენის მოზარდ თაობის აღმზრდელნი, ჩვენი გადაგვარებული ოჯახის გამომაბრუნებელნი, ჩვენის მომავლის გამომჭედელნი უნდა მოგვცეს, ასში ერთმა თუ გაიგო, და თუ გაიგო, მალეც დაივიწყა. მიზეზი ასეთის მოვლენისა, უეჭველია, ის არის, რომ ფართო საზოგადოებას, სჩანს, არ აქვს გათვალისწინებული ასეთ სასწავლებლის დიადი მნიშვნელობა ჩვენთვის. გასაკვირველიც არ არის: სწავლა-აღზრდის საქმეში ეროვნულ ხაზის გატარებას ყველაზედ ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენგან. საზოგადოების მისწრაფება ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთა ვსთქვით, 81 წლის წესდების დაცვას არ სცილდება დაწყებით სასწავლებლებში; ხოლო საშუალო განათლების საკითხში ხომ გიმნაზიის გარეშე თითქმის არა გვწამს სხვა სასწავლებელი.

მოკლედ, დღემდე ქართველ საზოგადოებას არ გამოუმუშავებია საკუთარი ნორმა მოზარდ თაობის აღზრდისა ეროვნულ მისწრაფებათა მიხედვით. მაგრამ დღემდე თუ ასეთ მოვლენას საპატიო მიზეზები ჰქონდა, რადგან ქართველი საზოგადოება თვის შვილების სწავლა-აღზრდაზედ მოკლებული იყო რაიმე გავლენას, დღეის იქით ამის თქმა აღარ შეიძლება, რადგან 1914 წლის კანონით მოგვეცა, მართალია, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც უფლება სწავლის საქმეში ასე თუ ის გარევისა. ეხლა აღმოჩნდება, რამდენათ მომზადებულნი ვართ ასეთ საქმისათვის, რამდენათ ღრმა და მძლავრია ჩვენში სურვილი სწავლის საქმის მშობლიურ ნიადაგზედ დაყენებისა, რამდენათ შორს მიდის ჩვენი შეხედულობა ამ საკითხში.

თუ უბედურია ის დედა, რომელიც საკუთარის ძუძუთი ვერა ზრდის თავის შვილს, ბევრად უფრო უბედურია ის ერი, რომლის მოზარდ თაობის აღზრდა უცხოს ხელშია. ქართველი ერი აგერ ერთ საუკუნეზედ მეტია ასეთ მდგომარეობაშია. ვინ იცის, რა ღრმა კვალი დასტოვა ასეთმა აღზრდამ მის ფსიხიკაში. დღევანდელი ჩვენი მოუმზადებლობა, ეროვნული შეუგნებლობა და ბევრი სხვა სიდუხჭირე დღევანდელ ჩვენი ცხოვრებისა, უეჭველია, შედეგია ასეთის უკუღმართის სწავლა-აღზრდისა. უცხო სკოლამ სრულიად გაგვიგრილა გული, გადაგვავიწყა საკუთარი თავი, მიგვაჩვია ჩვენისავე თავის უპატივცემლობას. საკუთარ ეროვნულ სკოლის კარები რომ არ გამოხურულიყო, ამ ერთი საუკუნის წინათ, უცხოთა გაბატონებისათანავე, ჩვენ განათლების იმ დაბალ საფეხურზედ არ ვიქნებოდით, როგორც ეხლა ვართ და ჩვენი ეროვნული თვით შეგნებაც სულ სხვა იქნებოდა. დიდია გავლენა ერზედ მოზარდი თაობის აღზრდისა გაბატონებულ ერისთვის სკოლა მუდამ იყო და არის ერთი მძლავრი საშუალებათაგანი დამონებულ ერის გადასაგვარებლად. ამიტომ ის არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ უშვებს სკოლას. ყოველმა დამონებულმა ერმაც არ უნდა დაივიწყოს ეს და მიაქციოს ამ გზას მთელი თავისი ყურადღება, რადგან მასაც სწორეთ ამ გზით, სკოლის საშუალებით. შეუძლია შეინარჩუნოს ეროვნული სახე, დადგეს აღორძინების გზაზედ. ზემოხსენებულიდან ცხადია, რომ 1914 წლის კანონის გამოსვლის შემდეგ პირდაპირ დანაშაულობა იქნება ჩვენის მხრივ, თუ სათანადო ყურადღებით არ მოვეპყარით ამ საკითხს და განსაკუთრებულის ენერგიით არ შევუდექით ეროვნულ სკოლის შექმნას.

ეხლა თავის-თავად იბადება საკითხი: რა არის ამისთვის საჭირო? უწინარეს ყოვლისა—ეროვნული მასწავლებელი. სკოლის სიავ კარგე სავსებით დამოკიდებულია მასწავლებლის სიავ-კარგეზე. ეს ყველამ კარგად იცის. ამიტომ, ეროვნული სკოლის შექმნა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სათანადოდ მომზადებულ მასწავლებელს, რომელსაც შესისხლხორცებული ექნება და სავსებით გათვალისწინებული დიადი მისია ეროვნულ მასწავლებლისა. ვინ მოგვიმზადებს ჩვენ ასეთ მასწავლებელს? რასაკვირველია, არავინ, თუ არა ისევ ჩვენ. ამ რიგად, ვიდრე საკუთარ სკოლების მომრავლებას შევუდგებოდეთ, საჭიროა სათანადო მასწავლებლების მომზადებაზედ ვიზრუნოთ მაშინ ცალკე თვით ჩვენს სკოლებს ეყოლებათ სასურველი მასწავლებელი, ცალკე ასეთი მასწავლებელი ფეხს შესდგავს ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა უწყების სასწავლებელში, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება არა ნაკლებ ძვირფასი და სასურველი იქნება ჩვენთვის. ჩვენს მდგომარეობაში ეს ერთად-ერთი გზაა.

და სწორეთ ამიტომაც „განათლების“ საზოგადოებამ დაარსა საკუთარი ქართული საოსტატო სემინარია. დღეის იქით ეს სემინარია უნდა გახდეს ჩვენის საზოგადოების შეგნებულ ნაწილის განსაკუთრებული ყურადღების საგნად. საოსტატო სემინარია არამც თუ არ ჩამოუვარდება არც ერთს ჩვენ ეროვნულ დაწესებულებას, არამედ ყველაზედ წინაც სდგას თავისის მნიშვნელობით და იმ დაუფასებელ სარგებლობითა, რომლის მოტანა მას შეუძლია. მნიშვნელობა ხსენებულ სემინარიისა ორკეცდება მით, რომ იგი საქალო სემინარია. ასეთი სემინარია, სათანადოდ მომზადებულ მასწავლებელთან ერთად, მოგვცემს განათლებულ, ეროვნულ ნიადაგზედ აღზრდილ დედებს, რომლებიც გამოაბრუნებენ ჩვენს გადაგვარებულ ოჯახს. ამავე დროს იგივე სემინარია შეუწყობს ხელს ქართველ ქალს გზა გაუკვლიოს საზოგადო მოღვაწეობისაკენ, ქართულ სკოლისაკენ.

მაგრამ რამდენადაც დიდია ჩვენთვის მნიშვნელობა საქალო სემინარიისა, იმდენად მეტი მზრუნველობაც სჭირია ჩვენის მხრით; არ კმარა მარტო გახსნა, დაარსება სასწავლებლისა, საჭიროა მისი მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, სათანადოთ მოწყობა, რომ შესაძლებელი იყოს მომავალ მასწავლებლების შესაფერისად მომზადება. ამ მხრივ კი ჯერ ბევრია გასაკეთებელი. „განათლების“ საზოგადოება ნორჩი, პატარა საზოგადოებაა და საკუთარის ძალ ღონით დიაღაც არ შეუძლია გაძღოლა ასეთის დიდის სასწავლებლისა, რომლის ყოველწლიური ხარჯი 20—25 ათას მანეთამდეა. ამ ყოველწლიურ ხარჯს პირველ ხანებში ემატება კიდევ ბინის საკითხი. მოგეხსენებათ, რომ შესაფერი ბინა სკოლისათვის ერთი ძირითადი, ერთი უპირველესი პირობათაგანია, ამაზედაა დამყარებული მისი მკვიდრ ნიადაგზედ დაყენება, მისი ზრდა, მისი განვითარება.

წელს გაიხსნა სემინარიის პირველი კლასი, რომელიც დროებით მოთავსებულია „განათლების“ საზოგადოების ქალთა სკოლის შენობაში, მაგრამ ეს უკანასკნელი თვით სკოლის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა სივიწროვისა გამო და ეხლა სემინარიის პირველი კლასი ზედმეტ ტვირთად გაუხდა. თვით შენობა პატარაა და ნაცვლად 150—200 მოწაფისა, რომლების მოთავსება კიდევ შეიძლებოდა

ამ ერთი თვის წინათ ბრიუსელში 200 ფლამანდიელი დეპუტატი შეკრებილა და სრული ავტონომია მოუთხოვიათ.

**ბულგარეთის პრეტენზიები.**

ერთს გამოჩენილ ბულგარელ სახელმწიფო მოღვაწეს ამერიკულ გაზეთის თანამშრომლისათვის გაუმჟღავნებია ბულგარეთის მიზნები. ბულგარეთს სურს მთელი სერბიული მაკედონიისა და ქალაქ ნიშის რაიონის შემოერთება. ამას გარდა ბულგარეთს უნდა მიეცეს რუმინული დობრუჯა და განაპირა ადგილები, მდინარე დუნაის მარცხნივ. იტალია ბალკანეთიდან უნდა განიდევნოს, სამხრეთ ალბანეთი ბულგარეთის გავლენის სფეროში უნდა მოექცეს.

**პოლონეთის ტახტის გარშემო**

ციურიხიდან მოსული ცნობით, გერმანეთის და ავსტრია უნგრეთის მთავრობები შეთანხმებულან პოლონეთის ტახტზე ერცჰერცოგი კარლ-სტეფანე არ აიყვანონ, გალიციაში ირედენტული მოძრაობის გაძლიერება რომ აიცდინონ. ამ ვერსიის თანახმად, ცენტრალ იმპერიებს დაუდგენიათ, პოლონეთის ტახტი ბავარიელ პრინცს ლეოპოლდს მისთავაზონ. პრინცმა გადასდო ამ წინადადებაზე პასუხის გაცემა ომის გათავებამდე.

# უკანასკნელი ცნობები

**მოსკოველმა ვაჭრებმა ჩინეთიდან დიდძალი შაქარი გამოიწერეს. გირვანქა შაქარი 22 კაპიკად დაჯდებათ.**

—

**იუსტიციის სამინისტროში პროექტია შეტანილი, ხასჯელი ეპატიოსთ იმ პოლიტიკურ დამნაშავეთ, რომელნიც დასჯილნი არიან 123, 129 და 132 მუხ. ძალით, თუ კი ესენი ომში წასვლის სურვილს განაცხადებენ.**

# ახალი ამბავი

◆ **ალ. ჭიჭინაძის** გარდაცვალებისა გამო პეტროგრადიდან შემდეგი სამძიმრის დეპეშა მოგვივიდ: „პეტროგრადის ქართველთა სათვისტომო დიდად დაალონა სამწუხარო ამბავმა მხცოვან პედაგოგისა, ახალთაობის აღზრდის საქმის ერთგულ მოამაგისა და სამშობლოს აღყვავებისთვის უანგარო მოღვაწის ალექსი ჭიჭინაძის სიკვდილმა. მშობელ ერთან ერთად ვგლოვობთ მის დაკარგვას. გამგეობის თავმჯდომარე **დეკანოზიშვილი**“.

◆ **სალიტერატურო საღამო.** სამშაბათს, 7 თებერვალს, საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზში გერონტი ქიქოძე და ი. გრიშაშვილი წაიკითხავენ თავიანთს მოხსენებებს. სხვათა შორის გრიშაშვილი წარმოსთქვამს თავის ახალს ლექსებს დაკვეთილი ბილეთები შენახული იქნება ორ საათამდე (საჩაიე) „ძმურს ნუკეშში“.

◆ **საკოოპ. გაზეთი „კავშირი“.** ამიერ კავკასიის მთავარმართებელ სახალხო? გადოების თავმჯდომარე ე. ს. დარჩიას გუბერნატორმა ნება დართო გამოსცეს თბილისში ქართული საკოოპერაციო ჟურნალი „კავშირი“.

◆ **ხარფუხის საზოგადო კლუბში** 5 თებერვალს გაიმართება ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წ. თავის აღსანიშნავად საიუბილეო წარმოდგენა „ხანუმა“ და „დედის ერთა“. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

◆ **მეძროხეობის კურსები,** რომელსაც კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება მართავს დასახიჩრებულ ჯარისკაცთათვის, გაიხსნება 14 თებერვალს. კურსები იქნება 1 თვის და 40 კაცისათვის. ლექციებს წაიკითხავენ სპეციალისტები.

◆ **მკვლელების აღმოჩენა.** ამას წინად სალმასის გზაზე ავაზაკებმა მოჰკლეს და გაძარცვეს ქალაქთა კავშირის ექიმი ვარ. ლაჩინიანი თბილისში მიღებულ ცნობის მიხედვით, მკვლელები უკვე აღმოუჩენიათ.

◆ **დუქნის გატეხა.** 2 თებერვალს სასახლის ქუჩაზე დუქანი გაუტეხეს ოქრომჭედელს შლემ პივოვაროვს და მოჰპარეს 5000 მანეთის ღირებული ნივთეულობა. 3 თებერვალს ახალციხის მოსახვევში სახლი გაუტეხეს ლიუდმილა ვალოშინისის და წაიღეს 70 მანეთის ნივთეულობა; მუხრანის ქუჩაზე ბოროტ გამზრახველები შეიპარნენ პელაგია მიროტაძის სახლში და წაიღეს 1000 მანეთის ნივთეულობა, ეჭვი მიიტანეს სოღნალის მცხოვრებ ზაქარია მირონოვზე, პოლიციამ მირონოვი დაატუსაღა.

◆ **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ წარსული წლის ბოლოს შუამდგომლობა აღძრა მეფის ნაცვლის წინაშე, რომ მთავრობას სესხად მიეცა მისთვის უპროცენტოდ 100,000 მანეთი სოფლის მეურნეთათვის სათესლე მასალის შესაძენად. ეს შუამდგომლობა მეფის ნაცვალმა გაუგზავნა საშინაო საქმეთა მინისტრს. ამ უკანასკნელს შუამდგომლობა შეუწყნარებია, მაგრამ იმ პირობით, რომ სესხი დაუბრუნდეს მთავრობას ამა წლის 1 მარიამობისთვემდე.

◆ **დამატებითი ჯამაგირი.** ცხოვრების გაძვირებისა და ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შუამდგომლობის გამო, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მესამედ მოუმატოს დროებითი ჯამაგირი თავისს მოსამსახურეთ, მათ შორის ტრამვაის მოსამსახურეთაც. ამ საკითხის დაწვრილებით გამორკვევა და მოხსენების შემუშავება დავალებული აქვს ქალაქის გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს.

◆ **სახალხო სახლის** გამგე კომისიის სხდომა ექნება 7 თებერვალს. კომისიამ უნდა გაანაწილოს დრო სახალხო წარმოდგენების მომწყობ სექციათა შორის.

---

ასე თუ ისე, ეხლა 3 0 მოწაფეა. თუნდ იმ გარემოებასაც არ მივაქციოთ ყურადღება, რომ წელს უადგილობისა გამო 150 მთხოვნელს უარი უთხრეს, თვით სემინარიას ხომ ყოველწლივ თითო კლასი უნდა ემატოს (4 კლასამდე). ასეთ პირობებში ახლანდელ ბინაზედ დატოვება სასწავლებლისა ყოვლად შეუძლებელია და ძალაუნებურად უნდა ვიზრუნოთ საკუთარ ბინის აგებისთვის. ამას ვერსად წაუვალთ, თუ გვინდა მართლა, რომ ჩვენი საოსტატო სემინარია არსებობდეს. უსამართლობა იქმნებოდა გვეთქვა: საქალო სემინარია დაარსა „განათლების“ საზოგადოებამ და როგორც უნდა, ისე მოუაროსო. საქალო სემინარია არ ემსახურება განსაკუთრებით რომელ ამე წოდებას, ან კლასს, ან რაიონს. მისი ასპარეზი მთელი საქართველოა, მიზანი—მთელი ერის სამსახური, სწავლა აღზრდაში გამეფებულ უკუღმართობასთან ბრძოლა, ეროვნულ სკოლის შექმნა, და განა ყველა ეს მარტო „განათლების“ საზოგადოების საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს? რომელ ქართულ დაწესებულებას დაგვისახელებთ, რომ არ იყოს ასე თუ ისე დაინტერესებული საოსტატო სემინარიის დაარსებითა, თუნდაც საკუთარის თვალსაზრისით? წერა-კითხვის საზოგადოება? იგი ხომ ყველაზედ მეტად და პირდაპირ დაინტერესებულია, რადგან მოუმზადებს სასურველ მასწავლებელთა კონტინგენტს. სიეთნოგრაფიო საზოგადოებას იტყვით, თუ კულტურულს, გინა დრამატიულს, კოოპერატივებს ანუ სხვა საზოგადოებათ,—განა არ არიან დაინტერესებულნი გაუჩნდეთ ისეთები, როგორიც იქნებიან ეროვნული მასწავლებლები, რომლებიც შექმნიან ხალხში შესაფერ ნიადაგს ზემოხსენებულ საზოგადოებათა და დაწესებულებათა მოქმედების გასაფართოვებლად და განსამტკიცებლად? ჩვენი ოჯახი, რომელსაც ასე სჭირია აღდგენა? ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ საქალო სემინარია შეადგენდეს საერთო საზრუნავ საგანს ყველა ჩვენის კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებისა, ყველა ქართველ ოჯახისა. განსაკუთრებულ საზრუნავ საგნად უნდა გახდეს იგი ქართველი ხალხისათვის.

ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ დაწესებულებას მიმართულების განურჩევლად მთელმა ქართველების შეგნებულმა ნაწილმა ყურადღება უნდა მიაქციოს. მივაქცევთ სტიპენდიის დამაარსებელთა ყურადღებას ამ ახალ ეროვნულ სასწავლებელზე, რომელიც აღზრდის ეროვნულ მასწავლებელთან ერთად ისეთ დედებს, რომლებსაც ქართველი ღმერთი მარტო სიკვდილის ჟამს არ აგონდებათ.

მივმართავთ ყველა სამშობლოდამ გარდახვეწილთაც, რომელთათვისაც, როგორც შემჩნეულია, სამშობლო მით უფრო ძვირფასია და საყვარელი, რაც უფრო მიუწდომელია მათთვის და არ ძალუძთ პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ სამშობლო ქვეყნის შენებაში.

მივმართავთ ყველა ქართულ დაწესებულებებს და მათს შორის, უწინარეს ყოვლისა წერაკითხვის საზოგადოებას, რომელიც, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი ყველაზედ მეტად არის დაკავშირებული ქალთა საოსტატო სემინარიასთან.

რაც ერთისათვის შეუძლებელია, ის შეერთებულის ძალით ადვილი გასაკეთებელი იქმნება.

მოკეთე.

---

# ეკ. ივ. სარაჯიშვილის

**სურათზე წარწერანი ილია ჭავჭავაძისა და აკაკისა*).**

ამ ლექსს გიწერ ჩემს სახსოვრად
და გაგიხვევ შიგ ჩემს გულსა,
სადაც ვინახამ ვით მარგალიტს
მე შენს და-ძმურს სიყვარულსა.

**ილია ჭავჭავაძე.**

—

თვალ-ხილული ვერ გხედავდი,
რომ დავბრმავდი, ეხლა გხედავ,
და გულში რაც ჩამსახვია,
იმის თქმასაც უფრო ვბედავ.

—

შემიყვარდი, როგორც შვილი,
როგორც და და მეგობარი!
ვაშა იმას, ვინც პოეტი
აამღერა ცოცხალ მკვდარი.

**აკაკი.**

1910 წ. 1 იანვარს.

*) პატივცემულმა ივ. მაჩაბლის ქვრივმა ანასტასიამ რედაქციას გადმოსცა ეს ორი ლექსი, რომლებიც ჩვენის ქვეყნის დიდება მგოსნებს განსვენებულის ეკატერინე სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ სურათებზე წაუწერიათ. თარიღი ილ. ჭავჭავაძის ლექსის დაწერისა არა სჩანს და, სამწუხაროდ, ვერც აღვადგინეთ. ხოლო აკაკის ლექსის თარიღი კი აღნიშნულია. წაწერილია იმ დროს, როცა დამბლად ჩავარდნილი მგოსანი კნეინა ანასტასია მაჩაბლის სახლში იწვა და გარედ ვეღარ გამოდიოდა. განსვენებული ეკატერინე ხშირად ნახულობდა თურმე პოეტს და ერთ ასეთ ვიზიტის დროს მგოსანს მიურთმევია თავისი სურათი შესაფერის ზედწარწერით. ორივე სურათი განსვენებულის ე. სარაჯიშვილის ძმამ ადამ ფორაქიშვილმა ქართულ საისტორიო-საეტნ. საზოგადოების მუზეუმს გადასცა.

დღეს, ეკ. სარაჯიშვილის გარდაცვალების ექვსის თთვის თავზე შესაფერისად ვსცანით საქართველოს საყვარელ ასულის ნეტარხსენებულ სახელთან ერთად მოგვეხსენებინა ჩვენის ქვეყნის ორ დიდებულ ძის სახელებიცა.

**რედ.**

---

◆ **სამოსწავლო ოლქის** მზრუნველმა განკარგულება გამოსცა, რომ მოსწავლეებს აეკრძალოსთ პიესების „ხვალ“ და „ზაზა“-ს წარმოდგენებზე დასწრება.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებას** წარსულ იანვარში შემოსულია 112,914 მან. 57 კაპ., დაუხარჯავს—12,374 მან. და 2 კაპ. თებერვლისათვის ნაღდ ფულად ჰქონია 409,926 მან. და 92 კაპ. იანვრის განმავლობაში საწევრო ფული შემოსულაია 538 მან.

◆ **ქურდობა.** პირველ თებერვალს ვერის დაღმართზე მცხოვრებ ნიკიტინ ხანადანიანცის სახლიდან ერთმა უცნობმა ახალგაზდა ქალმა მოიპარა 484 მანეთი.

◆ **სამხედრო ლაზარეთებთან** ბოსტნების მოწყობის შესახებ თათბირი დანიშნულია 8 თებერვალს. თათბირზე მიწვეული არიან, გარდა ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეთა, წარმომადგენელნი მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიისა, სახელმწიფო ქონებათა გამგეობისა და წყლის უწყებისა.

◆ **სამეურნეო იარაღები.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შეკვეთილი ჰქონდა როსტოვში 2,000 ცალამდე სხვა და სხვა ფირმის გუთანი. საზოგადოებას მოუვიდა როსტოვიდან მხოლოდ 150 ცალი გუთანი „აქსაი“-ს ფირმისა.

◆ **ქალაქთა კავშირის** ბათომის კომიტეტი სთხოვს კავშირის განყოფილებას 150 ათას მანეთს ტრაპიზონის რაიონის საჭიროებათათვის. აგრეთვე ბაქოს კომიტეტი თხოულობს 200 ათას მანეთს მოსამსახურეთა ჯამაგირებისათვის.

◆ **ჯარში გასაწვევთა** მობილიზაციის გამო, პოლიციის განკარგულებით დაკეტილია ღვინის სავაჭროები.

◆ **კოოპერატივის წევრთა კრება.** დღეს, 5 თებერვალს, კრება ექნებათ მთავრობის დაწესებულებათა მოხელეების კოოპერატივის წევრებს. განსახილველი: რამდენიმე ხარჯთაღრიცხვა, საკუთხი წესდების შეცვლა-შევსებისა და კოოპერატივის კრედიტის გადიდების შესახებ საკრედიტო დაწესებულებებში.

◆ **ქალაქის გამგეობა** ხვალ, 6 თებერვალს, საბჭოს წარუდგენს განსახილველად შეერთებული კრების დადგენილების შესახებ 3 მილიონ მანეთის სესხად აღებისა ქალაქის მოკლევადიან ვალდებულებათა დასაფარავად.

**ქუთაისი.**

საგუბერნიო ექიმის თანაშემწედ დანიშნა ქალაქის ექიმი დ. ლორთქიფანიძე, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა ექიმი მიხ. ჩხენკელი.

— პეტროგრადიდან დაბრუნებულმა კნტა აბაშიძემ ამბავი ჩამოიტანა, რომ ჭიათურის სალიკვიდაციო მამულების (შავქვიან მადნების) საქმე იმედია შავი ქვის საბჭოს სასარგებლოთ გადაწყდესო.

— იანვრის 29 სამრეწველო (სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზ—ბის წევრთა კრებაზე გადასწყდა, რაც შეიძლება მოკლე ხანში დაიწყოს სა—ამ მოქმედება. კრებაზედვე დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვა. გამგეობის არჩევნები 12 თებერვალს მოხდება.

**ბათომი.**

საბჭომ განიხილა ამ წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 842,000 მანეთს. მოსალოდნელია დიდი დეფიციტი. საფინანსო კომისიის წევრის ხმოსნის სოსიკო მდივნის აზრით, საჭიროა ამ წელიწადს უეჭველად აღებულ იქმნეს ყველა გადუხდელი სადაზღვევლო გადასახადი, რაიცა 200,000 მანეთს აღემატება. მდივნისავე აზრით ზოგიერთ შემოსავლიან საქმეს თვით ქალაქი უნდა გაუძღვეს.

**თელავი.**

აქ სრულებით გამოილია ფქვილი. ხალხი დიდ საგონებელში ჩაცვივდა. ხოლო ქალაქის მამანი ვერა გრძნობენ მოსალოდნელ სიმშილობას და იმის მაგიერ, რომ საჩქაროდ მიაშველონ საიდანაც იყოს ფქვილები და მით აცდინონ დამშევა.

— მარტია არუთინოვი, რომელსაც გულ-ყრა (ბნედა) ჰქონდა დაჩემებული, ამ ავადმყოფობის დროს წყალში წაიქცა და დაიხრჩო.

— აქეთ სოფლებში ძალიან გახშირდა მსხვილ-ფეხა საქონლის პარვა. ქურდების შიშით გლეხები ჰყიდიან უკანასკნელ მარჩენელ უღელ ხარს ან კამეჩს და აუტანელ ტანჯვაში ვარდება უსაქონლობით.

— ხმოსნებმა ქალაქის მოურავს წლიურ ჯამაგირად დაუნიშნეს 3.000 მან., მის თანაშემწეს 2,000 მან.

— ეს რამდენიმე დღეა, მთელი სახაბაზოები დაკეტილია და მხოლოდ ერთად-ერთ ფურნეში აცხობენ დღეში ერთხელ. ფურნის წინ აუარებელი ხალხი დგას და უცდის, მაგრამ მეტი წილი ხელცარიელი ბრუნდება, რადგანაც იქ გამომცხვარი პური ყველას არა ჰყოფნის.

— ქალაქის მოურავად ისევ მ. თათუზოვი ამოირჩიეს.

— ამ ბოლო დროს ამინდი შეიცვალა, ძალიან ხმელი სიცივეები დაიჭირა.

— ძალიან გაძვირდა თელავის ბაზარზე ქათამი. დედალი 3 მან. 50 კაპეიკიდან 4 მან. ფასობს.

— ქალაქის გამგეობამ შაქრის ფხვნილის დარიგება მეორეჯელ დაიწყო.

**ძ. გუმბრი (ალექსანდროპოლი).**

ქართ. შ. წ.-კ. გ. საზ. ადგილობრივ განყოფილების მეთაურობით 10 თებერვალს, სახალხო სახლში გაიმართება დიდი საღამო, რის შემოსავალი წმინდათ გადაიდება განყოფილების სასარგებლოთ. საღამოზე მოწვეულია საუკეთესო ძალები. სხვათა შორის, საღამოზე იმღერებს გუმბრში შემდგარი დ. მგალობლიშვილის ქართ. მომღერალთა გუნდი.

— 22 იანვარს, გუმბრის კათოლიკეთა ეკლესიაში დიდის ამბით იქნა გადახდილი პანაშვიდი ფრანგ, რუმინელ და იტალიელ გმირულად დაღუპული ჯარის კაცების სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო; დაესწრნენ აგრეთვე ყველა კათოლიკე ჯარის კაცებიც.

— ადგილობრივ ციხისა და ქალაქის კომენდანტმა ბრძანება გამოსცა, რომ ამიერიდან ქალაქთა კავშირის გუმბრის განყოფილების საავადმყოფოში მხოლოდ გადამდების სენით ავადმყოფები მოათავსონ.

**ხაშური.**

ხაშურის საკრედიტო ამხანაგობა დიდ სამზადისშია წლიური კრებისათვის. წარსულ წელს ამხანაგობას 50 ათასი მანეთი კრედიტი ჰქონდა სახელმწიფო ბანკისაგან, მობარებული ფული ოცი ათასი მან. სადაც ამდენი ფული დატრიალდებოდა, უეჭველია, დიდი მოგებაც უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მოგება სულ 1,000 მანეთია. მიზეზად გამგეობის უმოქმედობას ასახელებენ. საქმე ის არის, რომ გამგეობის წევრნი დატვირთულნი არიან საკუთარი საქმეებით და არ აქვთ მოცალეობა აწარმოონ საკრედიტო ამხანაგობის საქმე. ხაშურის ამხანაგობას დიდი მომავალი აქვს; ამას ხელს უწყობს ხაშურის მდებარეობა, და თუ ასე იღოდიალა ამხანაგობის საქმეებმა, შორს ვერ წავლენ ვერც მისი მესვეურნი და ვერც მისი წევრები. სწორედ ამითი უნდა აიხსნებოდეს ამხანაგობის დიდი სამზადისი. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ საჭიროა უეჭველად გამგეობაში არჩეულ იქმნენ თავისუფალი წევრები და შესაფერისის გასამრჯელოთი. მივაქცევთ ყურადღებას კოოპერაციით დაინტერესებულ პირებისას რათა დაეხმარნენ ხაშურის ამხანაგობას კანდიდატების ძებნაში. ბევრი საქმეა გასაკეთებელი ხაშურში საშუამავლო ოპერაციებით ჩარჩების ასალაგმავათ. მაგალითად, 1916 წლის დეკემბერში 14 მანეთად ნაყიდი ფუთი ღორის ხორცი წრეულს იანვარში ჩარჩები 30 მან. ჰყიდდენ ფუთსა და დაშაშხული და დამარილებული 50 მანეთამდე ადის ფუთი. ჭინახულის საკითხზე მეტია ხსენება-ლაპარაკი. ერთი სიტყვით, ენერგიულ პიროვნებას ბევრი საქმე აქვს ხაშურში გასაკეთებელი და თუ ამხანაგობამ ამას დროზე ყურადღება არ მიაქცია, უეჭველად დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

# ეკონომიური ცხოვრება

**შავი ქვის** ამოღების ნებართვა მიეცა ს. ღვიმევში, შორაპნის მაზრაში, დ. მიქაძეს, ვ. წერეთელს და ი. ქადაგიძეს.

—

**გ. რ. აბაშიძეს** ნება დართეს შავი ქვის მუშაობის ს. ზედაარგანში, შორაპნის მაზრაში.

—

**თუჯისა და ქვანახშირის** მადნები აღმოაჩინეს ევლახის მახლობლად. ეს მადნები აიღეს ვასნეცოვმა და სხ.

—

**სამხედრო ხესხების** სასარგებლო პროპაგანდის გასაწევად რუსეთში დაარსდა კომიტეტი, რომელმაც კომიტეტის თავმჯდომარის პროფ. ტუგან-ბარანოვსკის რედაქტორობით გამოსცა წიგნი: „სამხედრო სესხება“, რომელშიაც მოთავსებულია ტუგან-ბარანოვსკის, კულიშერის, ბერნაცკის და სხ. წერილები.

—

**პეტროგრადის ბირჟა.** პეტროგრადის ბირჟის გახსნას, რომელიც ომის დაწყებისთანავე დაიკეტა, დიდის მოუთმენლობით მოელოდენ სატახტო ქალაქის ფინანსიური წრეები. ბევრნი დიდს ცვლილებებს მოელოდენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა და ბირჟას პირველი დღე არაფრით არ განსხვავდებოდა კერძო საბირჟო კრებებისაგან, რომლებიც იმართებოდა ოფიციალურ ბირჟის დაკეტვის გამო. ფასიანი ქაღალდების კურსი ზომიერ ცვალებადობას განიცდიდა.

—

**ურალის რკინის წარმოება,** მიუხედავად მიღებულ ზომებისა, წარსულს წელს შემცირდა 1915 წელთან შედარებით. წარმოების შემცირება რამოდენიმე მილიონ ფუთს უდრის.

—

**ბაქოს ნავთის მრეწველებმა** წინადადება მიიღეს, კიევში შეკრებილია 15 ათასი რუმინელი მუშა და თუ მოთხოვნილება არის, ნავთის წარმოებებში მიიღეთო.

—

**ნავთიანი ადგილების** უვაჭროდ გაცემის შესახებ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს თავ. შახოვსკის პროექტი შეუმუშავებია. ნავთიანი მიწების უვაჭროდ გაცემით მინისტრს იმედი აქვს ბაქოს ნავთის მრეწველობის გაფართოება.

—

**ამერიკის კაპიტალი რუსეთში.** რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატამ სამინისტროს მოხსენება წარუდგინა შესახებ იმისა, თუ რამდენად სასარგებლო იქნება რუსეთის მრეწველობისთვის ამერიკის კაპიტალის დახმარება. მოხსენებასთან ერთად პალატას წარუდგენია საანკეტო ფურცელი, რომელშიაც რუსეთის მრეწველები გამოსთქვამენ თავის სურვილს ამერიკის კაპიტალის შემოტანისას თავიანთ წარმოებებში. ასეთი ... 150-ინ შეეხება უმთავრესად კავკასიის სამთო სიმდიდრეებს.

—

**შავი ქვა** ჭიათურიდამ ეხლა უმთავრესად რკინის გზით იგზავნება რუსეთში. წარსული თვის ოქტომბერში რკინის გზით გაიტანეს 1,640,000 ფუთი, ფოთით კი—462,000 ფ., ნოემბერში რკინის გზით—1,054,000 ფუთი და ზღვით—507,000 ფ.

—

**ქუთაისის სამრეწველო და სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების** პირველი კრება შესდგა 29 იანვარს. გადაწყდა საზოგადოების რაც შეიძლება მოკლე ხანში გახსნა. გამგეობის არჩევნები 12 თებერვალს უნდა მოხდეს.

—

**4 მილიონი ფუთი** საქონლის ხორცი დაგროვილა ციმბირის გზაზე და ვინაიდან წრეულს ზაფხული ადრე იქნება, ფიქრობენ მთელი ეს სანოვაგე ერთიანად გაფუჭდებაო.

—

**საადგილ-მამულო** ბანკების გირავნობის ქაღალდები ფასობენ პეტროგრადის ბირჟაზე—თბილისის სათავადაზნაურო ბანკის 83 მ. 50 კ., და ქუთაისის—73 მ. 79 კ.

# ჩუმი მუშაკნი

(თბილ. ქართულ საქალო გიმნაზიაში)

**(შთაბეჭდილებანი)**

თბილისში იშვიათია ისეთი ქართული საზოგადო დაწესებულება, რომ იმისმა ახლო გაცნობამ გული არ ატკინოს ქართულ საქმის ჭირისუფალს და მოკეთეს. თითქმის ყველგან—უილაჯობა, უსაქმურობა, გულშემზარავი დაშავებულობა... სიტყვა მრავალი, საქმე-კი პაწაწკინტელაზე უფრო პაწაწკინტელა. აქა-იქ თუ ნახავთ რასმე სანუგეშოს, თორემ საერთო ფონი ჩვენის სინამდვილისა ერთობ უნუგეშო და უ მედოა...

და მით უფრო სასიხარულოა, როცა ასეთს საქმეს შეჰხვდები, რაც ამ საერთო სურათს არ წააგავს, რაც ჩვენი შემოქმედებითის ძალისა და ნიჭის დამამტკიცებელი და დამადასტურებელია.

ერთ ასეთ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს თბილისის ქართული საქალო გიმნაზია.

ეს სასწავლებელი იმავ შენობაშია მოთავსებული, საცა ქართული სავაჟო გიმნაზია იმყოფება, მისი უახლოესი მეზობელია, მაგრამ როგორ არა ჰგავს ეს ორი სასწავლებელი ერთმანეთს!

ქართული სავაჟო გიმნაზია—დღეს ჩვენი entant terible გახლავთ, როგორც ფრანგები იტყვიან, ჩვენის საზოგადოებრივობის ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად გადაიქცა. დიდსა და პატარას იგი გვაკერია პირზე. მისთვისა ვზრუნავთ, სხვა და სხვა პროექტებსა ვთხზავთ, საგანგებო თათბირებს ვიწვევთ, საქმე თვის-კი ვერა გვიშველარა, ვერ დაგვიყენებია იგი ჯეროვან ნიადაგზე.

და აქვე, მეზობლად, მეორე სასწავლებელს მოუკალათნია, სადაც არა არს შფოთი და შეხლა-შემოხლა, საცა ყველამ იცის თავისი საქმე და წყნარად, შეუშფოთებლად, ძალდაუტანებლად ემსახურება ამ საქმეს.

საქმიანობა დამისი ელფერი ემჩნევა აქ ყველაფერს. შედიხართ თუ არა სასწავლებელში, ჰგრძნობთ, რომ ისეთს დაწესებულებაში იმყოფებით, საცა ყველანი მართლა რომ **ერთ ოჯახს** შეადგენენ, საცა ჰსუფევს **კოლეგიალური სული,** საცა შეუმუშავებიათ მტკიცე, შეურყეველი ტრადიციები, ყველასათვის სავალდებულო, ყველას მიერ ცნობილი და შესისხლხორცებული.. ჰხედავთ, რომ აქ ერთი გეგმა მეფობს, ერთი აზრი ტრიალებს... ჰგრძნობთ, რომ საქმე საქმის მცოდნის ხელშია, რომ ეს მცოდნე ხელი სიყვარულით ეკიდება მისდამი ჩაბარებულს საქმეს, არასა ჰზოგაეს მის კეთილად წასამართად.

ჩვენში ბევრი წინააღმდეგია გიმნაზიურის ტიპის განათლებისა. ეს საღი აზრია და მას ამ სტრიქონების დამწერიც იზიარებს. მაგრამ სწავლააღზრდის მიღებულ ტიპის შეცვლა—საზოგადო საკითხია, იგი პრინციპიალურად უნდა გადაწყდეს გვიან თუ ადრე მანამდის-კი, ვიდრე უმრავლესობის მიერ საჭიროდ ცნობილია არსებული სისტემა,—მანამდის დიდად გვესაჭიროება ქართულ საქ. გიმნაზიისთანა სასწავლებელი, ვინაიდან ქართველობისათვის სულ ერთი არ არის, **რომელ და როგორ გიმნაზიაში** მისცემს თავისს შვილს სასწავლებლად გიმნაზიურის ტიპის სწავლა-აღზრდის მოტრფიალე ქართველი. სულ ერთია, განა, სად და ვისთან ისწავლის ჩვენი მოზარდი თაობა, მომავალი ქართველი დედა: იქ, საცა ქართული არც-კი ისმის, საცა ქართულს ენას როგორც საგანს თუ ასწავლიან და ისიც სა-

ყველპუროდ, კვირაში ერთხელ-ორჯერ, მეექვსე გაკვეთილებზე, თუ იქ, საცა ქართული სული ტრიალებს, საცა ბავშვი მუდამ საქართველოს კულტურის სფეროში ჰგრძნობს თავსა, საცა ყველაფრის ღერძი და დიდაბოძი ქართული ენაა—რა გვირჩევნია?

უცხო სასწავლებელში აღზრდილი „მოპარუსკე" „მოდნი ბარიშნები", თუ ქართველ მასწავლებლების მიერ ქართულად აღზრდილი ქართველი ბავშვები?

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ მხრივ თბილისის ქართულ საქალო გიმნაზიას ჩვენი საზოგადოება ნაკლებ იცნობს. საწყენად ნურავის დარჩება, თუ ვიტყვი, რომ ამის უმთავრესი ბრალი თვით სასწავლებლის ხელმძღვანელთ ედებათ. მაშინ, როდესაც სხვები თავისის საქმის გაზვიადებას და გამრავალკეცებას სცდილობენ, ამ სასწავლებლის ნამდვილი ვითარება თითქმის არავისათვის არის ცნობილი. აქ ერთგვარი კარჩაკეტილობაა გამეფებული. მაგალითად: ვინ დასწრებია გიმნაზიაში გამართულ საბავშვო „დილებს"? ბევრმა არც-კი იცის, რომ ასეთი „დილები" იმართება, რომ იქ მოწაფეები, სხვათა შორის, თავისს საკუთარს ნაწარმოებსაცა კითხულობენ და რომ, საზოგადოდ, ხსენებულის „დილების" პროგრამა იშვიათის შინაარსისაა, არა თუ არაფრით ჩამოუვარდება სახელმოხვეჭილ სასწავლებლების „დილებს", ბევრით გადააჭარბებს კიდეც. იმას ხომ აღარ ვიტყვით, რომ უცხო კაცს სასწავლებელში არ უშვებენ, გაკვეთილების მოსმენის საშუალებას არ გვაძლევენო...

ყველა ამით აიხსნება, რომ გიმნაზიის ხელმძღვანელთა დ მასწავლებელთა ნაშრომი უჩინარია ფართო საზოგადოებისათვის. უკანასკნელმა არ იცის, რა კეთდება საზოგადოების კედლებში, ვერც-კი წარმოუდგენია, რა დიდი საქმე კეთდება იქა, რა ღვაწლი მიუძღვისთ ქართველობის წინაშე გიმნაზიის მესვეურთ, რაოდენ უსამზღვრო და უანგარო სიყვარულით ეკიდებიან იგინი თავიანთს საქმეს.

როგორც ამას წინად გაზეთებში აღნიშნული იყო, გიმნაზიის სამზრუნველოს თავჯდომარე კნ. მარ. ვახტ. ჯამბაკურ-ორბელიანისას დიდი საქმე განუზრახავს: შესდგომია გიმნაზიასთან პანსიონის დაარსებისთვის ზრუნვას.

რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით მიეგებება ამ კეთილს განზრახვას, საშვილიშვილო საქმეს. მეტად დიდია პანსიონის საჭიროება ჩვენის სოფლის ხალხის შვილებისთვის, რომელთაგან შესდგება გიმნაზიის მოწაფეთა უმეტესობა. მათი დედ-მამა წელებზე ფეხს იდგამს, პირდაპირ თავს იგირავებს, რომ შვილი უსწავლელი არ დარჩეს, ჩამოჰყავს თბილისში და, რადგან მეტი შეძლება არა აქვს, შვილს სადმე სარდაფში აბინავებს—თუ[თ]ხიან-თორმეტ მანეთიან სადგომზე.

პანსიონის დაარსებით სწორედ ამ საწყალ ხალხს ეშველება, სწორედ მათს შვილებს ეღირსებათ მყუდრო ბინა და თბილი ლუკმა...

იმედია, რომ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი და შეძლებული ხალხი ისევე ხელს შეუწყობენ კნ. ორბელიანის ამ კეთილ განზრახვას, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად თანაგრძნობით მიეგებნენ ყველანი მის მიერ დაწყებულს არა ნაკლებ სიმპატიურს საქმეს—უფასო სასადილოს, რომელიც ამ ჟამად უკვე მკვიდრ დაწესებულებად გადაიქცა, საცა მუდამ დღე სადილობს ქართულ გიმნაზიის ორასამდე უღარიბესი მოწაფე (ქალი და ვაჟი), ვისაც სასადილოს დაარსებამდე, ვინ იცის, თვეობით ენატრებოდა თბილი ლუკმა.

**შეუპოვარი.**

# სიტყვა

**წარმოთქმული განსვენებულ ალ. ჭიჭინაძის ნეშტის წინაშე იანვრის 29-ს 1917 წ. ქართულ გიმნაზიის ეზოში მე-VIII კლ. მოწაფის ალექსანდრე დიდებულიძის მიერ.**

ძვირფასო, ჩვენო ხელმძღვანელო და მასწავლებელო ალექსი! შენის ნეშტის წინაშე ვდგევართ გულდათუთქულნი მოწაფენი და გეთხოვებით სამუდამოდ. ვეღარ გავიგონებთ შენს მამაშვილურს დარიგებას, ვეღარ მოვისმენთ შენს წრფელსა და ტკბილს სიტყვებს, ვეღარ გაგვამხნევებს შენი რაინდული სულის ალფრთოვანება, ვეღარ მოგვიხმობ ცხოვრებასთან საბრძოლველად.

შენი მიზანი ცხოვრებისა იყო პატარა, მაგრამ დიდებულ საქართველოს კეთილდღეობა; საქართველოსათვის იღვწოდი დაუღალავად, საქართველოს შესწირე სიცოცხლე, საქართველოსთვის გვზრდიდი ჩვენ.

შენი სიტყვები „იყავით ჭეშმარიტი ადამიანი, თუ გსურთ თქვენი თავი გაახაროთ და სამშობლოს რითიმე ემსახუროთო" მუდამ გულში გვექნება და ამით ვიხელმძღვანელებთ ცხოვრებაში.

ბევრჯელ გვაჯავრდებოდი ურიგო საქციელისათვის, ბევრჯელ გვარიგებდი, გვამხელდი მხოლოდ იმისთვის, რომ გსურდა ღირსეულ მამულს ღირსეული შვილები გამოსვლოდა. ეს იყო შენი მიზანი და არა რაიმე სხვა პირადი ინტერესები. შენ ყოველთვის პირად „მე"-ს საზოგადოების ინტერესებს ანაცვალებდი. უდროვოდ მოგვშორდი, უდროვოდ გვიღალატე, დაგვტოვე ობლად, უნუგეშოდ.

ჩვენი ერთად-ერთი ნუგეში ისაა, რომ მოკვდი ღირსეულად და ამ სიკვდილით უკვდავ-ჰყავ შენი სახელი.

შენ იქამდე იტრიალებ ჩვენში, სანამ ცოტაოდენი მამულიშვილური გრძნობა გვექნება. ვერ დაგივიწყებთ შენ, ვერ მოვაშორებთ შენს წმიდა აჩრდილს და ვეცდებით ღირსეულად შევასრულოთ შენი ანდერძი და ისევე გულ-წრფელად, ისევე უანგაროდ, როგორც შენ, შევსწიროთ სიცოცხლე სამშობლოს, სამშობლოს კეთილდღეობას.

მშვიდობით, დაუღალავო მხცოვანო, ჭეშმარიტო მამულიშვილო! ნუ დაივიწყებ შენს საყვარელს ტურფა საქართველოს, ხშირად გადმოხედე ზეციდგან, იქნებ როდისმე აგისრულდეს ნატვრა და დაინახო აყვავებული, თავისუფალი საქართველო!...

# წერილი კავკავიდან

რადგანაც კავკავი მოწყვეტილია კავკავის რკინის გზის უმთავრეს ლიანდაგს და განზეა მიგდებული, ამისთვის ეს საერთაშორისო ომი კავკავს საიმისოდ არ დასჩენია: ტრამვაის ვაგონებში ზედახოცვა არ არის, რკინის გზის სადგურზედ ბილეთს მუდამ იშოვით, საცა უნდა გნებავდესთ წასვლა. აქაური ტრამვაი ისევ ბელგიელების ხელშია და ამისათვის ქალაქი იცავს მცხოვრებლების ინტერესს: ფასი ისევ ძველია, ერთი გზა, როგორც წინად, ისევ ერთ შაურად ღირს, და თუ წინა ბაქანზედ დადექით, მაშინ სამი კაპეიკია. ეს გზა კი უდრის თითქმის იმას, რასაც წინად თბილისში ერთ შაურად გაივლიდით და რასაც ეხლა კი, როცა თბილისის ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა, სამ შაურადაც ვერ გაივლით. ნეტა, თბილისის ტრამვაი ისევ ბელგიელების ხელში რომ ყოფილიყო, ქალაქი ნებას დართავდა მათ ფასები მოემატებინათ? არა მგონია. ტრამვაიზედ აქ სულ ქალები მუშაობენ. ვაგონების დამტარებლებად, კონდუქტორებად, ლიანდაგის დამგვლებად—სულ ქალებია. პირველად აქა ვხედავ ქალს ტრამვაის ვატმანად, მე სხვა ქალაქებში არ შემხვედრიან.

რაც შეეხება სიძვირეს—ამაზედ ხომ ლაპარაკიც მეტია. პური მუდამ თეთრი ცხვება და არა ის ქატო, რასაც თბილისელები სჭამენ. სწორედ, რაც აქაურ მეწისქვილეებს ქატო გადარჩათ, ის თბილისს გამოუგზავნეს საჭმელად. კავკავი კი პრაქტიკულად მოიქცა: მან არ ინდომა ის ქატო, ადგა და ორი წისქვილი დაიქირავა. თვით ქალაქი უზიდავს მათ ხორბალს და თავისს გემოზედ აფქვევინებს. არც ერთ ქალაქის მცხოვრებს ნება არა აქვს იყიდოს ფქვილი. ფქვილს მხოლოდ მეპურეებს აძლევენ. ჯერ უპურობა კავკავს არ განუცდია. უხორცობა კი კავკავში ეს-ეს არის იწყება. გირვანქა ხორცი შვიდ შაურად ფასობს; შეიძლება, ნიხრს კიდევ მოუმატონ, მაგრამ კავკავში მაინც იქნება უხორცობა, რადგანაც თერგის ოლქიდან ძალიან დიდძალი საქონელი გარეკეს ომის საჭიროებისათვის, და ის კი არ იფიქრეს, რომ მცხოვრებლებსაც უნდათ ჭამა. მერე ეს გაყვანილი საქონელი ხეირიანად მაინც მოეხმარათ: ნახევარი თითქმის სულ მუქთად დაიღუპა.

როგორც იცით, თერგის ოლქი მდიდარია სიმინდით. წელს სიმინდის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ სიმინდის მყიდველები წელს ძალიან აირივნენ. ამ სამი თვის წინად სიმინდის ფასი იყო ფუთზე სამი აბაზი, თოთხმეტი შაური. ეხლა კი ძალიან ასწიეს. სიმინდს ეზიდებიან რუსეთში—კრუპას აკეთებენ, ბაქოში—გულიევი და სკობელევი—სწორედ არ ვიცი რისთვის; შეიძლება სპარსეთშიაც გააპარონ; როგორც ამბობენ წინად სპარსეთში ხორბალიც გაუპარებიათ. სიმინდზედ არის დაწესებული მთავრობისაგან ფუთზედ 1 მანეთი, მაგრამ ამ ფასში ეხლა აღარ იძლევიან სიმინდს. ისე რომ ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელი აქ ვერაფერს აკეთებს. ან უნდა ხელი აიღოს სიმინდის ყიდვაზედ, ან არა და ფუთში 1 მ. 50 კ. მისცეს. თბილისის გუბერნიას კი იმდენი სიმინდი არა სჭირია და უფრო კარგ პირობებშია ჩაყენებული.

ჩრდილოეთ კავკასია ძალიან კარგ პირობებშია ჩაყენებული სამეურნეო ცოდნათა და სათესლე მასალის გავრცელების მხრივ. კავკავის რკინის გზის საზოგადოებამ, თერგის და ყუბანის კავშირმა შეიმუშავეს გეგმა, და 10 იანვრიდან დაიწყებს სიარულს კავკავის გზაზედ და ყველა მის შტოებზედ ეგრედ წოდებული სააგრონომიო მატარებელი. ეს სააგრონომიო მატარებელი გაჩერდება ყოველ სადგურზედ, მოსულ ხალხს გამოცდილი აგრონომები წაუკითხავენ ლექციებს სამეურნეო დარგიდან და მიჰყიდიან მათ სათესლე მასალას და სამეურნეო იარაღებს. კავკავის რკინის გზის ყველა სადგურზედ გამოკრულია განცხადება, როდის მივა იქ სააგრონომიო მატარებელი და რამდენ ხანს გაჩერდება. ყოველ სადგურზედ მატარებელი ჩერდება თითქმის თითო დღე. ზოგზე მეტ ხანსაც, ისე რომ ეს სააგრონომიო მატარებელი კავკავის რკინის გზაზედ და მის შტოებზედ სიარულს მოანდომებს ორ თვე ნახევარს და დიდ ძალ სათესლე მასალას დაარიგებს. განა ცუდი იქნებოდა, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და ამიერ კავკასიის რკინის გზასაც რომ მოეწყოთ სამეურნეო დახმარება მცხოვრებლებისათვის?

კავკავის ქართველობამ, როგორც მოგეხსენებათ, დიდი უნარი და ნიჭი გამოიჩინა საეროვნო დაწესებულებათა შექმნით. მან კავკავში შექმნა ქართველთა კუთხე, საცა მოთავსებულია ქართველთა ეკლესია, სკოლა, ქალთა საპროფესიო სასწავლებელი, თეატრი და საკრედიტო ამხანაგობა. რა მდგომარეობაში იმყოფებიან ეს დაწესებულებანი, მე არ ვიცი, მხოლოდ სკოლას შიგნიდან ძალიან შეკეთება უნდა. როცა შედიხართ სკოლაში, გგონიათ, საწყობში შევდივართ. გარედან შენობები ძალიან ლამაზია, შიგნიდან კი ვერა. კარგი იქნება, რომ შიგნიდან შენობას შეაკეთებდნენ, გაალამაზებდნენ, გაამხიარულებდნენ, რომ ბავშვის სულზედ კარგად მოქმედებდეს, ამის გარდა, მაშინ მეტი სისუფთავეც იქნება.

საკრედიტო ამხანაგობას ათასზედ მეტი წევრი ჰყავს. იმის შენობა უფრო სუფთად და ლამაზად არის შენახული, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. საკრედიტო ამხანაგობაში მხოლოდ კვირაობით არის მუშაობა, იქ მარტო ფულს აძლევენ სესხად და ფულს იბარებენ შესანახად. გასესხებულ ფულზედ ძალიან დიდ სარგებელს ახდევინებენ 12 (პროცენტს). ამხანაგობა თერგის კავშირის წევრი არ არის. არ ვიცი, რითი აიხსნება. საშუამავლო ოპერაციების წარმოების დაწყებას ვაპირებთ, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია, ხალხი არა გვყავსო, ასე მითხრეს ამხანაგობაში.

14 იანვარს აქაურმა ქართველობამ იდღესასწაულა ნინოობა. ეკლესიაში ეპისკოპოსმა გადაიხადა წირვა და პანაშვიდი. გალობდა ქართული ხორო. წირვას ხალხი ბევრი დაესწრო. კაცები ძალიან ნაკლებად იყვნენ წირვაზედ, ქალები სჭარბობდნენ. წირვის შემდეგ ეპისკოპოზი მიიპატიჟეს ჩაიზედ. წირვაზედ ეპისკოპოზმა სიტყვა სთქვა წმიდა ნინოზედ და მის ღვაწლზედ. საღამოზედ უნდა გამართულიყო ბავშვებისთვის დღესასწაული, მაგრამ გადადეს კვირისათვის.

**გიორგი ბურჭულაძე.**

# დაბა-სოფლები

**სოხუმი.** სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწე თ-დი ჯავახიშვილი სოხუმის ეპარქიაში ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა გამოწვეულია სოხუმის ეპისკოპოზ სერგიზე საჩივრებით. სხვათა შორის, მან უნდა გამოარკვიოს საქმე ტუაპსის რუსის დედათა მონასტრისა, რომელიც დარბეულ იქმნა ეპისკოპოზ სერგის მეთაურობით და განკარგულებით. თ-დ ჯავახიშვილმავე უნდა გამოიძიოს ილორის (აფხაზეთში) ეკლესიისა და ამ ეკლესიის ყოფილ მღვდლის კონსტანტინე მაჯგანაძის საქმე. ეს მღვდელი უსამართლოთ გააძევა ილორის სამრევლოდან ეპისკოპოზმა სერგიმ და მისი საქმე სინოდში იქმნა გაგზავნილი გასარჩევად. სოხუმის საეპარქიო მთავრობამ განიზრახა ილორის მდიდარი ეკლესია ქართველებისათვის წაერთმია და გადაეკეთებინა რუს მონაზვნების მონასტრად, რომ ამ გზით მიეთვისებინა ამ ეკლესიის ქონება, რომელსაც აქვს ფულად 50,000 მანეთი და საეკლესიო ნივთებადაც 100,000 მანეთი. მღვდელი კონ. მაჯგანაძე წინააღუდგა ამ ბოროტ განზრახვას და მსხვერპლი გახდა ამ ეკლესიის ერთგულებისა.

**ილორელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

დაბა ზესტაფონის საზოგადოებამ იქონია მსჯელობა საქარის სანერგეში საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ. თითქმის ერთხმად სცნეს ასეთი სასწავლებლის დაარსების საჭიროება. სახელდობრ, სწადიათ დაარსდეს სპეციალური ტიპის—მევენახობის, მელვინობის, მებაღობის, მებოსტნობის და მეაბრეშუმობის სასწავლებელი.

არჩეულია დროებითი კომისია, რომელიც არდგენს ხარჯთ-აღრიცხვას მომავალ სასწავლებლისას.

ათ თებერვლისთვის დანიშნულია ამ საგანზე სათათბიროთ საზოგადო ყრილობა, იბეჭდება და დაიგზავნება მოწოდების ფურცლები.

საქარის სანერგე და იქვე სახელმწიფო მამული „არგვეთი" ნარგავებით და მზა შენობებით და ხლოვებით შეადგენენ 400—500 ათას მანეთის ღირებულობას. რომ დაარსდეს ზემორე აღნიშნულ ტიპის სამეურნეო სასწავლებელი, კიდევ საჭირო იქნება ხარჯი 300 ათასი მანეთამდის მიწების დასამუშავებლად და შენობების ასაგებათ. ნაწილი ამ ფულისა უნდა ადგილობრივათ შეიკრიბოს.

ამ საგანზე იმედია პატივცემული რედაქცია თავის სიტყვას შეგვაწევს და თავის სიმპატიას გამოუცხადებს ზესტაფონელთა განზრახვას. ამისათვის ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ და გთხოვოთ კომისიის სახელით დაგვეხმაროთ თქვენის წმინდა მსჯელობით.

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა საოცრათ არის ჩამორჩენილი მეურნეობის მხრით და არავითარი დარგი მეურნეობისა რიგიანათ განვითარებული არ არის. ვინ ჩივის ევროპასთან შედარებას. სამხრეთ რუსეთსაც ვერ შევედრებით და ყველანი წინ გვისწრებენ. რიგიანათ დაყენებულმა სამეურნეო სკოლამ არ შეიძლება გავლენა არ ქონიოსთ.

ხალხი მონდომებულია და სურვილი დიდი აქვს წინ მსვლელობისა. კარგი წ ნამძღოლი გვაკლია. არც იმოდენია 300 ათასი მანეთი, რომ ქვეყანას გაუჭირდეს, როცა რასმეს მოინდომებს. მაშ, ბატონებო, მოგვაწოდეთ თქვენი განმამხნევებელი მსჯელობა ამ საგანზე, ეგებ ყრილობაზედაც ვინმე დაგვესწროს თქვენგან.

თქვენი პატივისმცემელი საქარის სანერგეს გამგე **კ. ბერეკაშვილი.**

# შემოწირულება

ბ-ნ იოსებ მერკვილაძემ რედაქციას გადმოსცა ორი თუმანი საბურთალოს ქართულ თეატრის გამგეობისდა გადასაცემად (იმავე თეატრის მოსაწყობ თანხისათვის მისამატებლად). შემოსწირეს: **სამ-სამი მანეთი**—პეტრე რუხაძემ, აკაკი სვანიშვილმა, ილარიონ მახარაძემ, იოსებ კურცხალიამ, სოსიკო მერკვილაძემ; **თითო მანეთი**—ს. რუსიშვილმა, პატარა ბიძინა მერკვილაძემ, ელისაბედ მატარაძის ასულმა, ანიკო მერკვილაძისამ; **ათ-ათი შაური**—ან. კუდინოვმა და სტეფანე უზნელომ.

**სოსიკო მერკვილაძე.**

# ჩვენი ფოსტა

**ბათომი.** ი. შარაშენიძეს. არა გვაქვს.

**ერევანი.** დ. მე—ლს. გაზეთი გეგზავნებათ. ზედმიწევნით ვერ გეტყვით, როდის დაიბეჭდება. ვცდილობთ კი.

**საჩხერე.** გრ. აბ—ძეს. გმადლობთ. სიამოვნებით. კვლავაც მოგვაწოდეთ.

**ხაშური.** ლ. მწ—რს. ვწუხვართ, მაგრამ ვერ დაიბეჭდება. გთხოვთ კორესპონდენციის სახის წერილები გვიგზავნოთ.

**ბაგრატ ბეთანელს.** გთხოვთ შემოგვითვალოთ თქვენი მისამართი.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო ჭანტურიშვილი**


# ბატონს ზურაბ ღუარსამის ძე ნაცვლიშვილს!

რადგანაც ჩემსა და გიორგი ნაცვალოვს შუა ატეხილ საქმეში წარსულ იანვრის 16 თქვენ სინამდვილის ჩვენება არ მოინდომეთ ფიცს ქვეშ და სასამართლო შეცდომაში შეიყვანეთ, რითაც ერთხელ კიდევ მომაყენეთ ზარალი, ამიტომ გთხოვთ გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში და დანიშნოთ ადგილი, სადაც უნდა გაირჩეს საქმე: ხირსა, სიღნაღი, თუ გინდ თბილისი, სადაც მოისურვებთ; დაასახელეთ თქვენი მედიატორები და მეც, ადგილის მიხედვით, დავასახელებ ჩემს მედიატორებს. ვადად გაძლევთ გაზეთში ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან ორ კვირას. მედიატორების გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს გაზეთში.

პეტრე ბარამის ძე ნაცვლიშვილი.

4 თებერვალი.



# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**



# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



# სუსუნატით (გონორეა)
# ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტა ხანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭკებისას და სხვ.

# რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება

# იმიტომ რომ

ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,

მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „**ურიტალი**". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ

# ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ეღირება 25 მან.

# უფასოდ

გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა რუსულ ენაზედ, ვინც 10 კაპ. მარკას გამოგვიგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში. თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, ნაწ. 6—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1,** напротивъ Государственнаго Банка.




სტამბა „ცხოვრება" ა. კაანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4